საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების სასერტიფიკატო კურსის ანოტაცია

კურსის სახელწოდება: ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება

კურსის მოცულობა და დროში განაწილება (გთხოვთ, მიუთითეთ საათების საერთო რაოდენობა და დროში განაწილების სქემა. იმ შემთხვევაში თუ კურსს ენიჭება კრედიტები მიუთითეთ კრედიტების რაოდენობაც საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების მითითებით): 3 მოდული (თითოეული მოდული - 6 ESTC კრედიტი; სულ 150 საათი; 90 საათი საკონტაქტო, 60 - არასაკონტაქტო)

კურსის ხელმძღვანელი სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთერთობების ცენტრის ხელმძღვანელი შალვა ტაბატაძე.

კურსის განხორციელებაში მონაწილე მასწავლებლები (გთხოვთ, ანოტაცის თან დაურთეთ მასწავლებლების ბიოგრაფიული მონაცემებიც): კახა გაბუნია, მერაბ ბაბუხადია, ნინო შარაშენიძე, ჭაბუკი ქირია, ქეთევან გოჩიტაშვილი, გიული შაბაშვილი **(იხ. დანართი #2).**

კურსის სამიზნე ჯგუფის აღწერა: კურსის სამიზნე ჯგუფია ქართულ ენაში დაბალი კომპეტენციის მქონე ზრდასრული მოსახლეობა (საჯარო მოხელეები, სკოლის პედაგოგები, სახელმწიფო ენის შესწავლის ნებისმიერი მსურველი) უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონებიდან.

კურსში ჩართვის წინაპირობა მსმენელთათვის: მსმენელები გაივლიან ტესტირებას და ენის ფლობის შესაბამისი დონის მიხედვით გადანაწილდებიან 3 მოდულში; ყველაზე დაბალი ენობრივი კომპეტენციების მქონე მსმენელები მიიღებიან პირველ მოდულში. მე-2 მოდულის გავლა შესაძლებელია მხოლოდ პირველი მოდულის გავლის შემთხვევაში; მე-3 მოდულის გავლა შესაძლებელია პირველი და მეორე მოდულის გავლის შემთხვევაში (ან შესაბამისი დონის განმსაზღვრელი ტესტის შევსების შემთხვევაში).

კურსის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები: ქართულის როგორც მეორე ენის სასწავლო პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს სრულფასოვანი მოქალაქის აღზრდას, რომელიც შეძლებს სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრაციას და საკუთარი წვლილის შეტანას მის განვითარებაში.

ქართულის, როგორც მეორე ენის სასწავლო პროგრამამ უნდა უზრუნველყოს ქართული ენის იმგვარი ცოდნა, რომ კურსის გავლის შემდეგ მსმენელმა შეძლოს:

- წარმატებული კომუნიკაცია ქართულ ენაზე;
- სხვადასხვა მიზნით, სხვადასხვა აუდიტორიისათვის, სხვადასხვა ტიპის (როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი) ტექსტების ადეკვატურად გაგება და შექმნა (ტექსტის სტრუქტურაში გარკვევა და მის ნაწილებს შორის კავშირის გააზრება);
- ქართული ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობისა და ღირებულებების გაცნობა, დაფასება და პატივისცემა;
- ქართული ენის ცოდნისა და უნარების შემდგომი გაღრმავება და გამდიდრება დამოუკიდებლად (ე. წ. "სწავლის სწავლის" კომპონენტი).

ამ სტანდარტის დაფარვის შემთხვევაში, მისაღწევია ზოგადევროპული სისტემის მიხედვით განსაზღვრული კომპეტენციები:

- ლექსიკური მარაგის სინტაქსური და მორფოლოგიური წესების გამოყენებით გააზრებულ გამოთქმებად გარდაქმნა და ქართული ენის ნორმების შესატყვისად აგებული კონსტრუქციების აგება (ლინგვისტური კომპეტენცია);
- ენობრივი ფორმების სიტუაციის (კონტექსტის – ვინ, ვისთან, სად, რის გამო, რა მიზნით ამყარებს ურთიერთობას) შესაბამისად შერჩევა და გამოყენება (სოციოლინგვისტური კომპეტენცია);
- ზეპირი და წერილობითი ტექსტის სტრუქტურაში გარკვევა და მის ნაწილებს შორის კავშირის გაგება და გააზრება (დისკურსული კომპეტენცია);
- მოცემულ სოციოკულტურულ გარემოში (ქართული ეროვნულ-კულტურული სპეციფიკის გათვალისწინებით) თავისუფლად ორიენტირებას: აზრის გამოთქმის, კამათის, დისკუსიისა და პრეზენტაციის სტრატეგიების დაუფლებასა და გამოყენებას (სოციოკულტურული კომპეტენცია);

- მოცემულ სოციალურ გარემოში პიროვნების ადეკვატური თვითგამოხატვის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი უნარების დაუფლებასა და გამოყენებას (სოციალური კომპეტენცია);
- ვერბალური და არავერბალური საშუალებებით, ენის შეზღუდულად ფლობის პირობებში, არსებული ხარვეზის გადაფარვას (სტრატეგიული კომპეტენცია).

მონაწილეთა შეფასების სიტემა: ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა;
შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი,C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩაბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდები უნდა იყოს ერთმანეთთან და კომპეტენციებთან შესატყვისი. შეფასების მეთოდები ნათლად უნდა იყოს დაკავშირებული სწავლების მიზანთან.

შეფასების სტრატეგიებმა უნდა უპასუხოს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული შეფასების საჭიროებას. შეფასების სტრატეგიების სპექტრი ასახავს ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ასპექტებს.

შეფასება განხორციელდება შემდეგ კომპონენტებზე დაყრდნობით:

- შუალედური ტესტირება (დახურული და ღია კითხვებით)
- ზეპირი პრეზენტაციები / კოლოქვიუმები
- პორტფოლიო
- შემაჯამებელი გამოცდა (ტესტირება და გასაუბრება)

სერტიფიკატის მინიჭების მოთხოვნები: სერტიფიკატის მინიჭება ხდება მსმენელის მიერ 100-დან 51 ქულის დაგროვების შემთხვევაში შეფასების ყველა კომპონენტის გათვალისწინებით.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები: მეორე ენის სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდები და სტრატეგიები გამოირჩევა მრავალფეროვნებით; გათვალისწინებულია ყველა იმ აპრობირებული მეთოდისა და მიდგომების გამოყენება, რაც იძლევა ეფექტურ შედეგს ენობრივი კომპეტენციების ამაღლების თვალსაზრისით:

- ლექციები თვალსაჩინოებებისა (სქემები და სხვა გრაფიკული საშუალებები, ბანერები, და თანამედროვე ტექნიკური საშუალებების (აუდიომაგნიტოფონები, კომპიუტერები) გამოყენებით;
- ვერბალური მეთოდი
- წიგნზე მუშაობის მეთოდი,
- პორტფოლიოს წარმოება;
- მასალის დაკონსპექტება;
- ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი;
- ჯგუფური მუშაობა;
- წყვილებში მუშაობა;
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი;
- ევრისტიკული მეთოდი;
- დისკუსია/დებატები,
- პრობლემებზე ორიენტირებული სწავლება;
- მოდელირებული სიტუაციების განხილვა;
- როლური და სიტუაციური თამაშები;
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება;
- წერითი დავალებები;

- ვიდეო მასალის განხილვა.